

თეა ბურჭულაძე

ზოგი ზმნური შესიტყვების თაობაზე

ქართული ენის ზმნა რთული მეტყველების ნაწილია. ამ სირთულეს განაპირობებს ზმნურ კატეგორიათა სიმრავლე, რომელიც, როგორც ცნობილია, შეიძლება განაწილდეს ორ ჯგუფად: უღლებისა და წარმოქმნის კატეგორიებად. აქედან ერთნი უცვლიან ზმნას გრამატიკულ მნიშვნელობას (პირი, რიცხვი, მწკრივი, დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა), ხოლო მეორენი – ლექსიკურ მნიშვნელობას (გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი).

გრამატიკული დანიშნულების მიხედვით გამოყოფენ ზმნების ორ ჯგუფს. ერთი ტიპია დამოუკიდებელი, ანუ საკუთრივ ზმნები, და მეორე – დამხმარე, მეშველი ზმნები, რომლებიც ანალიზური, აღწერითი წარმოებისას გამოიყენება. ანალიზურ ფორმებში სემანტიკურად დატვირთულია სახელური ნაწილი, პირს, რიცხვს, გარდამავლობას და სხვა გრამატიკულ კატეგორიებს კი განსაზღვრავს მეშველი ზმნა. დამხმარე ზმნა სრულმნიშვნელოვან სიტყვასთან ერთად ერთ მთლიან ოდენობას წარმოადგენს (მორფოლოგია 2011: 770-771).

სამეცნიერო ლიტერატურაში რთულფუძიანად განიხილავენ არა ისეთ ზმნებს, რომელთა ფორმაწარმოებისათვის საყრდენი ფუძე შედგენილობით რთულია, არამედ ისეთ ზმნებს, რომლებიც შედგება სახელური და ზმნური კომპონენტებისაგან (მორფოლოგია 2011: 772). განსაკუთრებით ძველ ქართულში იყო ფართოდ გავრცელებული რთული ზმნები, რომლებიც ნაწარმოები იყო სახელისა და მეშველი ზმნის საშუალებით. მეშველად სხვადასხვა ზმნა იყო: **ცემა, ყოფა, დება, ღება** და სხვ. (შანიძე 1980: 497) ამათგან კი ყველაზე მეტად გავრცელებული იყო **ყოფა: ნუგეშინის-სცა, ამზორს-უყო, დადად-ყო, ყურად იღო...** ფორმები (მორფოლოგია 2011: 772). რთული ზმნების ნაწილები, ჩვეულებრივ, ერთად არის წინადადებაში, მაგრამ შესაძლოა მათი გათიშვის შემთხვევებიც: მათ **ყურად უნდა ელოთ** ეს რეკომენდაციები. ძველი ქართულის ამგვარი წარმოებიდან

თანამედროვე ქართულში გვხვდება შემდეგი ტიპის რთულფუძიანი ზმნები: **შეურაცხყოფს, უზრუნველყოფს, უარყოფს, ცხადყოფს...**

ზოგადად, ქართული ზმნა გამოირჩევა ერთგვარი მოქნილობით – მას, მხოლოდ ერთსაც კი, შეუძლია გამოხატოს მთელი წინადადების აზრი. ამიტომაც, სამართლიანადაა მიჩნეული, რომ ქართული ზმნა წინადადების ხერხემალია. ასევე არაერთხელ აღინიშნა, რომ ქართული ორგანული წარმოების ენაა და აღწერით ფორმებს მაშინ მიმართავს, როცა სინთეზური წარმოება ჭირს.

ქართულში მრავლადაა მყარი ზმნური შესიტყვებები. სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერით წარმოებადაა ჩათვლილი ფრაზეოლოგიური გამოთქმები: ყურად იღო, სიტყვა მიუგო, ხელში ჩაიგდო და სხვა. აღნიშნულია, რომ ამგვარი ფრაზეოლოგიური გამოთქმები გრამატიკულად აღწერით ფორმებს უტოლდება (მორფოლოგია 2011: 772-773). აღნიშნული წარმოება ბუნებრივი მოვლენაა როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში. ასეთ მყარ ზმნურ შესიტყვებებში ერთი სახელადი ნაწილია, მეორე კი – ზმნური ფორმა: **ანგარიში გაუწია, აზრს ვაყალიბებ, აზრს ვიმეორებ, კვალიფიკაციას ვამღებ / ვანიჭებ** და სხვა.

დღეს ხშირია იმის ტენდენცია, რომ ასეთი ზმნური შესიტყვებები უფრო გამარტივდეს და ერთ ფუძეზე – მხოლოდ ზმნაზე დავიდეს და, შესაბამისად, ერთიან ზმნურ ყალიბში მოექცეს. ბოლო პერიოდში საჯარო მოხელეთა თუ პოლიტიკოსთა სასაუბრო ლექსიკასა თუ მასმედიაში გავრცელდა შემდეგი ტიპის ზმნური ფორმები: **გკონტროლდები, ვციტირებ, დაკვალიფიცირდეს, კვალიფიცირდები, ვყალიბდები, ვმეორდები...** მაგალითად:

„თუკი ნივთის მესაკუთრემ, მფლობელმა ან სხვა პირმა შეამჩნია ნივთის დაუფლების ფაქტი და ქურდმაც იცის, რომ მას ხედავენ და მიუხედავად ამისა, ის მაინც აგრძელებს თავის მოქმედებას ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მაშინ მოქმედება **დაკვალიფიცირდება**, როგორც ძარცვა“ (გაზ. „24 საათი“); „თმაზე მოქაჩვაც, თუ ის ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას იწვევს, შეიძლება ძალადობად **დაკვალიფიცირდეს**“ (გაზ. „24 საათი“); „მალაშხია იძახის პირდაპირ ეთერში (**ვციტირებ**) პუტინი არის კაგებეს აგენტი“ (ტელ. „იმედი“); „თანამოაზრეებისადმი მიმართულ წერილში, რომელსაც მიახლოებით **ვციტირებ**, კარდინალი ამბობდა: ყველაფერი ვიღონეთ, რომ ამოგვეძირკვა ეს შხამიანი მცენარე“

(გაზ. „ახალი თაობა“); „წერილი **ციტირებს** ივანიშვილის ამ სიტყვებს“; „ახლა მე **ციტირებას** მოვიყვან ამ წერილიდან“ (ტელ. „მაესტრო“); „ისევ **ვმეორდები** და ვიტყვი, რომ მოყვანილი ფაქტები არასწორია“ ტელ. „მაესტრო“); „დანამდვილებით ვიცი, რომ **ვკონტროლდები** მათ მიერ ყველა ფეხის ნაბიჯზე“ (გაზ. „რეზონანსი“); „რაც უფრო ვგრძნობ იმას, რომ ნელ-ნელა რეალისტ ადამიანად **ვყალიბდები**, მით უფრო მაცოცხებს თითქმის ყოველი დეტალი, რაც ზოგადად ადამიანს ეხება“ (გაზ. „24 საათი“); „მე ვფიქრობ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობით უფრო **კვალიფიცირდები**, ვიდრე სხვა, თუნდაც სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობისას“ (ტელ. „რუსთავი 2“).

ასეთი ტიპის ზმნური ფორმების დამკვიდრება არასწორი და არაბუნებრივია ქართულისათვის. მსგავსი ტიპის უმარტებულო ფორმებზე მითითებულია „მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ ლექსიკონში“ (მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, 2012 წ.), სადაც ასეთი არასწორი ფორმების გვერდით მითითებულია მისი სწორი შესიტყვებები. მაგალითად, ლექსიკონში აღნიშნულია: [ვმეორდები მსჯელობაში კი არა] **ვიმეორებ** მსჯელობაში... ამა თუ იმ აზრს; [ვკონკრეტდები (ამ საკითხთან დაკავშირებით კი არა)] **ვაკონკრეტებ** (ამ საკითხს). თუმცა მაინც დღითიდღე უფრო მკვიდრდება და მრავლადაა მეტყველებასა თუ წერით კულტურაში ასეთი ხელოვნური ფორმები.

მოყვანილი ფორმები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მყარი ზმნური შესიტყვებიდან მოდის და შინაარსობრივად გამართული მხოლოდ სახელური და ზმნური ფორმების ერთად გამოყენებისას იქნება. განვიხილოთ ცალკე-ცალკე მოყვანილი ზმნების ეს ტიპი: **ვიციტირებ** – ქართულში გვაქვს შემდეგი შესიტყვებები: **ციტატა მოჰყავს, ციტატას ამბობს, ციტატას იმოწმებს** და სხვა; **ვმეორდები** – მისი შესატყვისია: **გავიმეორებ ნათქვამს, გავიმეორებ იმავე აზრს; ვკვალიფიცირდები** – ასეთ **კვალიფიკაციას ვაძლევ, კვალიფიკაციას ვიმადლებ**; როგორც აღვნიშნეთ, ხშირად გვხვდება ასევე მსგავსი შესიტყვების ზმნისწინდართული ფორმაც – **დაკვალიფიცირდეს** – მისი შინაარსი ასეთია – **კვალიფიკაცია უნდა მიეცეს; ვყალიბდები** – **ვყალიბებ აზრს**; რაც შეეხება **ვკონტროლდები** ფორმას, გვაქვს როგორც ზმნური შესიტყვება (**კონტროლს ვუწევ...**), ასევე მარტივი, ზმნური ფორმაც (**გავაკონტროლეთ, უნდა გაგვეკონტროლებინა...**). განსა-

კუთრებით უნდა აღვნიშნოთ ამ ტიპის წინადადების შინაარსის შესახებ: „წერილი ციტირებს ივანიშვილის სიტყვებს უცვლელად“. გარდა იმისა, რომ მოყვანილ წინადადებაში გვაქვს **ციტირებს** ფორმა, გვხვდება მეორე სახის უხეში სტილისტიკური შეცდომა – **წერილი ციტირებს**. ჟურნალისტი ისე გამოხატავს ნათქვამს, თითქოს ისეთ ადამიანზე აქვს ლაპარაკი, რომელსაც მოჰყავს ესა თუ ის ციტატა დასამოწმებლად. არადა, აქ უსულოს, წერილს მოიშველიებს არგუმენტისათვის. ცხადია, წინადადების ასეთი შინაარსობრივი კონსტრუქცია ხელოვნურია და მიუღებელი. ყურადღება გასამახვილებელი ასევე **ციტირება მოჰყავს** სახის შესიტყვებაზეც. **ციტირება** თავისთავად უკვე აღნიშნავს **ციტატის მოყვანას**: ეს ზუსტი ციტირებაა ნათქვამისა; **ციტირებული** ფრაზები დაიმახსოვრეთ და სხვ. ამიტომ **ციტირება მოჰყავს** შინაარსობრივად შეუთავსებელია. **მოჰყავს ზმნა** აღარ სჭირდება, რადგანაც ეს ზმნური ნაწილი ისედაც იგულისხმება ამ ფორმაში. ამიტომ თავი უნდა ავარიდოთ ასეთ უმართებულო შესიტყვებებს.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ნათლად ჩანს, რომ ისინი ისევე იწარმოება, როგორც სხვა მყარი ზმნური შესიტყვებები: **ანგარიში გაუწია, პატივს ვცემ, ხელში ჩაიგდო, სიტყვა მიუგო, ყურადიღო** და სხვა (ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი 1998). ჩვენს შემთხვევებშიც სახელადი ნაწილი და ზმნური ფორმები გვაქვს, სადაც, ბუნებრივია, რომ ზმნური კატეგორიების ნიშნებს (გგულისხმობთ პირისა და რიცხვის ნიშნებს) შესიტყვების ზმნური ნაწილი დაირთავს. მაგალითად:

- | | |
|------------------------------|--------------------------|
| მხ. რიცხვი: | მრ. რიცხვი: |
| I. ციტატა მომყავს | ციტატა მოგვყავს |
| II. ციტატა მოგყავს | ციტატა მოგყავთ |
| III. ციტატა მოჰყავს | ციტატა მოჰყავთ |
| ასევე იქნება: | |
| I. კვალიფიკაციას მივანიჭებ | კვალიფიკაციას მივანიჭებთ |
| II. კვალიფიკაციას მიანიჭებ | კვალიფიკაციას მიანიჭებთ |
| III. კვალიფიკაციას მიანიჭებს | კვალიფიკაციას მიანიჭებენ |

აქ ისეთივე ვითარებაა, როგორიც რთულფუძიანი ზმნების წამოებისას – ფორმაცვალეზადია ზმნური ნაწილი, სახელური კი

უცვლელია: **უზრუნველყოფ, უზრუნველყოფ, უზრუნველყოფს, უზრუნველყოფთ, უზრუნველყოფთ, უზრუნველყოფენ; შეურაცხყოფ, შეურაცხყოფ, შეურაცხყოფს, შეურაცხყოფთ, შეურაცხყოფთ, შეურაცხყოფენ.**

ერთი შეხედვით, **ვციტირებ, ვმეორდები** და მსგავსი ტიპის ფორმები თითქოს ისევე შეიძლება ვცვალოთ პირისა და რიცხვის მიხედვით, როგორც ჩვეულებრივი ზმნური ფორმა. როგორც ჩანს, აღრევა ამანაც გამოიწვია: **ვციტირებ, ციტირებ, ციტირებს, ვციტირებთ, ციტირებთ, ციტირებენ... ვმეორდები, მეორდები, მეორდება, ვმეორდებით, მეორდებით, მეორდებათ და სხვა**, მაგრამ ეს არასწორი ფორმებია. აქვე აღვნიშნავთ, რომ, მართალია, ქართულში გვაქვს: **ვაკონტროლებ, მაკონტროლებს და აკონტროლებს, ასევე ვიმეორებ, იმეორებ, იმეორებს, გაუმეორებს, გაუკონტროლებს** და სხვა მსგავსი ფორმები, მაგრამ **გკონტროლდები, ვმეორდები** ტიპის I პირის ფორმები მათი თანაფარდი წარმოებისა არაა. როგორც მაგალითებიდან ჩანს, მართებული ვარიანტები შესაბამისი ქცევისნიშნის ფორმებია.

ცხადია, ქართულისათვის მსგავსი ფორმები არაბუნებრივი და ხელოვნურია, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი ზმნური შესიტყვებებია და არა ცალკე აღებული ზმნები. მართალია, ენა მიისწრაფვის გამარტივებისა და სათქმელის მოკლედ გადმოცემისაკენ, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ქართულისათვის არაბუნებრივი, ხელოვნური ფორმების ჩანაცვლების ხარჯზე.

წევრთა ურთიერთმიმართება და თანამიმდევრობა წინადადებაში, სინტაქსური თუ მორფოლოგიური, ასევე სტილისტიკური პრობლემატიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული მეტყველების საკითხებთან. ამ საკითხების ნორმალიზაცია-სტანდარტიზაციის დაცვაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მასმედია, მისი წარმომადგენლები, პოლიტიკოსები თუ საჯარო მოხელეები. ამიტომაც მათი მხრიდან უმართებულო და ქართულისათვის ხელოვნური ფორმების ნებსით თუ უნებლიეთ გავრცელება პირდაპირ უწყობს ხელს მათ დამკვიდრებას. შედეგად ფართო საზოგადოება ისე იღებს მსგავს ფორმებს, როგორც სწორსა და მისაღებს. ამიტომ საჭიროა მეტი სიფრთხილე და მზრუნველობა მშობლიური ენის მიმართ, რათა გავითვალისწინოთ ენის შინაგანი ბუნება და დავიცვათ მისი სიმინდე.

ლიტერატურა

მორფოლოგია 2011 – თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი.

მოსწ. ორთოგრ. 2012 – მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, თბილისი.

ორთოგრ. 1998 – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

შანიძე 1980 – ა. შანიძე, თხზულებანი, III, თბილისი.